წარმოგიდგენთ შპს “ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი” -ს (საიდენტიფიკაციო ნომერი (415096078) 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად

შპს “ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი”-ს

დირექტორი ზურაბ ხიპაშვილი

შპს “ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ციფრული ფორმები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს 2023 წლის 1 იანვრიდან – 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

(საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	550376	222336	595374
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1856740	7134	387979
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	**201274**	**1913962**	**4297918**
მზა პროდუქცია	201274	1913962	4297918
სხვა		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1414	1148	632
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	**2609804**	**2144580**	**5281903**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2219347	2332381	2442778
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	450	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	1019643	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	84042	84042	84042
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1350415	1350415	1350415
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	3653804	4786931	3877235
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	381329	381329	0
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1425329	-3023680	1404668
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-1044000	-2642351	1404668
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**2609804**	**2144580**	**5281903**

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს

დირექტორი ზურაბ ხიპაშვილი

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს 2023 წლის 1 იანვრიდან – 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

საქმიანობის შედეგები	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები	**5477940**	**5209427**
საქონლის გაყიდვიდან	5477940	5209427
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	-1743410	-3641295
საერთო მოგება	**990**	**1568132**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16872	261875
დასაქმებულთა ანაზღაურება	-6505	-8482
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-10506
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-5989	-47169
სულ საოპერაციო ხარჯები	**4378**	**195718**
საოპერაციო მოგება	**3738908**	**1763850**
მიღებული დივიდენდები		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-327	-140527
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**3738581**	**1623323**
მოგების გადასახადის ხარჯი		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**3738581**	**1623323**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**3738581**	**1623323**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**-2642351**	**1404668**
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2140230	-5714452
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		44110
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-1044000**	**-2642351**

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს

დირექტორი ზურაბ ხიპაშვილი

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს 2023 წლის 1 იანვრიდან – 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2023**	**31/12/2022**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	311495	-629457
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	**311495**	**-629457**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	16545	256419
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	222336	595374
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**550376**	**222336**

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს

დირექტორი ზურაბ ხიპაშვილი

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი" 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

<u>სახელმწიფო რეგისტრაცია</u>

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2016 წლის 05 თებერვალს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 415096078;

<u>საზოგადოების დამფუძნებელია:</u>

აინურ აკიუზ, 13177151512, U15234423 /თურქეთი/ 100%

<u>იურიდიული მისამართია:</u>

საქართველო, ქალაქი ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), შიდა ნომერი 1C-18;

<u>საზოგადოების დირექტორია:</u>

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოების დირექტორი არის:

ზურაბ ხიპაშვილი, საქართველოს მოქალაქე 01027045775

<u>ორგანიზაციის საქმიანობის სახეა</u>:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობა;

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას აწარმოებს მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი"-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; ასევე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ვობი.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

2.4 საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.

2.5 შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან;

2.6 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

2.7 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.8 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.12 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.13 სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯის არსებობის შემთხვევაში, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.14 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე;

საწარმო ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის; ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება.

2.16 გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი" მინიჭებული აქვს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის, (შემდგომ – თიზ-ის საწარმო) სტატუსი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო არის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო.

მინიჭებული თიზ-ის საწარმოს სტატუსი აძლევს უფლებას იმუშაოს კონკრეტულ გამოყოფილ ადგილას გადასახადების გადახდის გარეშე თანხმად სსკ-25 მუხლისა, გარდა თიზ-ის საწარმო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. თიზ-ის საწარმო ვალდებულია საქართველოს

კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

თიზ-ის საწარმოს ეკრძალება:

ა) საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მომსახურების შეძენა, გარდა:

ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორის ან/და ადმინისტრაციის მიერ დაცვის მომსახურების გაწევისა ან/და ქონების ქირით ან იჯარით გადაცემისა;

ა.ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კანალიზაციის, აუდიტორული ან/და საკონსულტაციო მომსახურებისა, ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტის მიერ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისა ან/და ფინანსური მომსახურების გაწევისა, აგრეთვე ძირითად საშუალებათა დადგმისა, მონტაჟისა ან/და მშენებლობის მომსახურების გაწევისა;

ა.გ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მომსახურების გაწევა.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	550376	222336

საწარმოო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1856740	7134

საწარმოო მარაგები

საწარმოო და სხვა მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31/12/2023	31/12/2022
მარაგები	201274	1913962

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	2219347	2332381
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	450

სესხები

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	84042	84042
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1350415	1350415

შემოსავალი

2023 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	5477940	5209427
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0

<u>თვითღირებულება</u>

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდენაირად

	31/12/2023	31/12/2022
გაყიდვების თვითღირებულება	1743410	3641295

<u>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</u>

2023 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილა შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	6505	8482
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5989	47169

3 საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

3.1 <u>ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მომხდარი მოვლენები</u>

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

3.2 <u>ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები</u>

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 17 სექტემბერს;

17.09.2024 წელი

შპს "ზი ფორთრეს გრუფ ქომფანი" დირექტორი

ზურაბ ხიპაშვილი